

სოციალ-დემოკრატიული ფურცელი



თბილისი
კავთაძის ქუჩა

მთავარი,
შაბათი, 24 დეკემბერი
1905
ნომერი 3 კაპიკა * ქულიწიდი პირველი.

ფურცელი

რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტია.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 9. ყოველ-დღიური გაზეთი. № 9.

ყოველ-დღიურ გაზეთ „სოციალ-დემოკრატიული ფურცლის“

რედაქცია იღებს გაზეთში დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

განცხადების ფასა:

პირველ გვერდზე პწკარი თორმეტი ნომერი ასოთი თითოჯერ დაბეჭდვა 10 კაპ., მეოთხე გვერდზე 5 კაპ.

ადრესი: ქუთაისი. ყურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდა“



გვთი სიმბოლო!

ტბის ნაპირას ბაყაყები ყიყინებდენ; ზოგი არხენათ გაწოლილიყო და მზეს ზურგს უშვებდა, ზოგი ამკობდა დახტოდა. ერთბაშად მონადირისაგან შეშინებულმა კურდღელმა გაიბრინა, ბაყაყებმა ისკუპეს და ტბაში მიიშალენ! ბაყაყები ადამიანებშიაც ბევრია, ნამეტურ ამ ბოლო დროს

ყველგან სიცოცხლე, გამბედაობა, მტკიცე რწმენა და ამ რწმენისათვის თავის დადება გამოიხატებოდა. მაგრამ რეაქციამ თავი წამოყო, ის უკანასკნელ შემბოროლებას აპირებს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: რევოლიუცია ბრძოლაა ორ ძალას შუა უფლებებისათვის და ერთი მიბრძანეთ უბრძოლველად, თავის ნებით რომელი სულელი ამბობს უარს თავის უფლებებზე და უთმობს სხვას? და აი ამ რეაქციამ აღმოაჩინა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ბევრი ყოფილა თუ ნამდვილად ბაყაყი არა, ბაყაყის მსგავსი წევრები მაინც. ისინი სახე გაფითრებული დადიან, მიხვრამოხვრამი, სიარულში, ყოველისფერში შიში ეტყობათ, მაგრამ იმის შიში კი არა, ვაი თუ რეაქციამ გაიმარჯვოსო, — სრულებით სხვა შიში ექნებათ. ბევრი სოროვსაც ათვლიერებს, რომ შიგ მიიმალოს, თუ კურდღელი დაინახა. ამგვარ პირებს შემწვარი წაბლი ძალიან უყვართ, ასე ძალიან, რომ რამე ეჭვი რომ

შეიტანათ ყბათ აგიგდებენ, ხოლო ერთი დიდი ნაკლი სკითხ; ხელის დაწვისა ისე ეშინიათ ცეცხლში, როგორც თევზის მოყვარულ კატას წყალში თათების დასველებისა. მათ უნდათ რომ წაბლი უცეცხლოდ შეიწვას, მაგრამ ეს შეუძლებელია; შეუძლებელია აგრეთვე, რომ წაბლი თავისთავად შეიწვას, გადმოგორდეს ცეცხლიდან, გაიჩხეს, განელდეს და შემდეგ პირდაპირ მათს პირში ჩახტეს და მათი უბედურებაც სწორეთ ამ შეუძლებლობაში მდგომარეობს.

ის საზოგადოებრივი ატმოსფერა რომელშიაც ჩვენ ყველანი ვცხოვრობდით, აუტანელი შეიქნა ყველასათვის, მაგრამ ნამდვილი ბრძოლა, ძალის წინააღმდეგ მხოლოდ პროლეტარიატმა გაბედა და, კიდევ უკიდურესად დასუსტებული, ვაი თუ წაბლის გამოღების დროს ცეცხლში თითები დაფიწვავა, მან გამოუცხადა თავის თავს და თვითმპყრობელობასაც: ასე ცხოვრება მე აღარ შემძლია, ან მოვკვდები,

ან ცხოვრებას ჩემს გემოვნებაზე გარდავქმნიო. ის ამის შემდეგ უშიშრათ, უყოყმანოთ გამოვიდა ბრძოლის ველზე; მან არა თუ თითები დაიწვა რევოლიუციის ცეცხლში, ბევრი — ძალიან ბევრი წევრი უმსხვერპლა ამ ბრძოლას, მაგრამ მსხვერპლმა უნაყოფოთ არ ჩაიარა. უვალი იყო რევოლიუციის გზა, მასზედ სიარული მეტათ ძნელი და სახიფათო; დღეს კი პროლეტარიატის მტკიცე მარჯვენამ ეს გზა გაკაფა და იათელა, რის გამოც მასზედ სიარული დღეს გაცილებით უფრო ადვილია და ბევრათ უფრო უხიფათო. ყველაზე უფრო ძნელი საქმე შესრულებულია, დარჩა უფრო ადვილი; გძელი და საშიში გზა გავლილია, დარჩა პატარა და ადვილი სავალი გზა: თვითმპყრობელობის დიდხელედა ეცლება ყველა სიმარჯვები და ცოტა ხნის მოთმინება, ცოტა ხნით კიდევ შეჩვენა პროლეტარიატისა საკმარისია, რომ ჩვენ გაიმარჯვება ვიდღესასწაულოთ. ცხოვ-

ფელეტონი

სოციალიზმის ისტორიიდან.

შემდეგი *)

სენ სიმონი და ფურიე ორივე სოციალისტები იყვნენ. ვინ არის სოციალისტი? სოციალისტი ეწოდება იმ ადამიანს, რომელიც ცდილობს თანამედროვე კაპიტალისტური წარმოებისა და ბურჟუაზული წყობილების გარდაქმნას პროლეტარიატისა და ყველა მშრომელთა სასარგებლოდ. სოციალისტს ახასიათებს ის, რომ მსხვილ წარმოებასა და ყველა ტექნიკურ საშვალეებს წარმოებისას ის იტოვებს, ხოლო ითხოვს წარმოებისა და განაწილების ახალ გაწესრიგებას იმგვარათ, რომ ცარცვა-ყვლეფას და კლასიურ ანტაგონიზმს აღავი აღარ ჰქონდეს. შრომასა და მექანიკურებაზე ამყარებდენ სენ-სიმონიცა და ფურიეც მომავალ წყობილებას; ისინი უარყოფდენ არსებულ სისტემას ცარცვა-ყვლეფასას, იტოვებდენ მსხვილ წარმოებას, ხოლო ამ წარმოებისა და წარმოების განაწილებას


ბის იმგვარ ორგანიზაციას ითხოვდენ, რომ პროლეტარიატისა დამშრომელი ხალხის გაყვლეფას ბოლო მოღებოდა. სენ-სიმონიცა და ფურიეც ორივე კაბინეტის კაცები იყვნენ. ისინი კაბინეტში აპრობდენ სოციალიზმის განხორციელებას, სოციალიზმს ისინი ქვეიდან თითონ ხალხის მოძრაობიდან კი არ აშენებდენ არამედ ზევიდან მოჰონდათ. სენ-სიმონს მთავრობის იმედი ჰქონდა ის შემოიღებს სოციალიზმსო, ფურიე კი ბურჟუებს შეყურებდა ფილანტროპებს დამიარსებენო. მეტურამეტე საუკუნის ლიბერალიზმმა წარმოშობა ერთი ცრუ რწმენა ადამიანის ბუნების შესახებ, ის ამტკიცებდა: ადამიანი ბუნებით გულკეთილია და პატიოსანი, ამიტომ ადამიანის ყველა მისწრაფებას ფართო ასპარეზი უნდა ქონდეს დათმობილი, სრული თავისუფლებით უნდა საზღვრებოდეს ის და ადამიანთა შორის ბუნებრივი ჰარმონია დამყარდებო; თუ ეს ჰარმონია დაარღვია რამე, უნდა დაანახოთ ე ადამიანებს და ისინი თითონ მოიშოიებენ ყველა ამგვარ მიხეხს, თავის ნებით ეცდებიან ბუნებრივი ჰარმონიის აღდგენას.

სო. ამგვარ ცრუ აზრს ემორჩილებოდენ სენ-სიმონიცა და ფურიეც. კაპიტალისტურმა წარმოებამ ბუნებრივი ჰარმონია და კეთილდღეობა დაარღვია, მათის აზრით, კლასთა შორის კი არავითარი ანტაგონიზმი არ არსებობს. რადგანაც კლასები ადამიანებისაგან შედგებიან და ადამიანი კი ბუნებით კეთილი არსება; ამიტომ საკმაო მდიდრებსა და მთავრობას თვალები აუხილო, დაანახო ცხოვრების მოუწყობლობა. ჰარმონიის დარღვევა. ისინი თითონ თავისი ნებით აღადგენენ ჰარმონიასო. სენ-სიმონი და ფურიე სასტიკათ მოტყუებდენ. მათ ძვალ-რბილში გამჯდარი ქონდათ ბურჟუაზული შეხედულობა ადამიანის ბუნების შეცდობა გამრავლება: მერე რამ გამოიწვია მათი გამრავლება? რეაქციამ. რეაქციის დაწყებამდე თითქოს მთელი საზოგადოება ადამიანებისაგან შესდგებოდა. საკაიო გაიხეხავდი, სახებ და ამიტომ კლასობრივ ანტაგონიზმს ვერ ამჩნიებდი. კლასობრივი ბრძოლია საქმობა ვერ ხედავდენ და თავისი ქადაგებით ბურჟუაზის მდგომარეობის განმტკიცებას ხელს უწყობდენ და პროლეტარია

ტის კლასობრივ შეგნებას კი აფერხებდენ.

ამგვარსავე შეცთომაში ჩავარდა ინგლისელი რობერტ ოუენი. ეს სოციალისტი თითონ იყო მდიდარი ბურჟუა, საკუთარი ფაბრიკა ქონდა და ამიტომ პროლეტარიატის მდგომარეობა მას კარგათ ქონდა შესწავლილი რადგანაც ის გამოცდილებით და დაკვირვებით დარწმუნდა, რომ კაპიტალისტური წარმოება ტყავს ამრობდა და აქვეითებდა პროლეტარიატს, ამიტომ მას დაებადა უსაზღვრო წყურვილი არსებული წყობილების შეცვლისა. საფრანგეთის უტოპისტებივით მას აქსომათ მიაჩნდა ის აზრი, რომ ადამიანი ბუნებრივათ კეთილია, ამიტომ ადამიანთა შორის თავისთავათ უნდა დამყარდეს მშვიდობა და სათნოება, თუ ეს ასე არ არის ცხადია რალაც მიზეზი უშლის ხელს. რა არის ეს მიზეზი? ოუენი შეუღდა ამ მიზეზის ჩხრეკას და შეადგა ადამიანის აღზრდასა და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს. ოუენის აზრით მთელი უბედურება იქიდან წარმოსდგება, რომ ადამიანი რიგიან აღზრდას მოკლებულია და წარმოება საზოგადოებაში კაპიტალი-

*) იხ. „სოციალ-დემოკრატიული“ № 6.



ვრებაში არა თუ რევოლუციის მოხდენა, რაიმე უბრალო რეფორმის შემოღება შეუძლებელია უბრალოდ ვეღვათ, მარა ადამიანს, რომელსაც ადამიანური ცხოვრება უნდა, ბრძოლა უნდა წყუროდეს: ამისთანა მწყურვალს კი წყალში დასველებისა არ უნდა ეშინოდეს. ჩვენს წინ მიმავალთა შორის ბევრმა სიკაცხლე გასწირა; უკან დახევა დღეს იმიტომ, რომ რეაქციამ იაფი წამოყო, სიკაცხელია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ რეაქციამ იმიტომ წამოყო თავი, რომ მისი სამარე ახლო არის და ერთი რომელიმე მეფესავით თვითმპყრობელობა ჯერ მაინც იმდენათ ამაყია, რომ მწოლარეს არ უნდა სიკვდილი: ზეზე უნდა მოკვდეთ. დეე, ის ზეზე მოკვდეს, ჩვენთვის სულ ერთია. — ჩვენ იმითი გავმხნევედეთ, რომ ისტორიულმა აუცილებლობამ მისი სიკვდილი უკვე დიდი ხანია საბოლოოთ გადაწყვეტათ. თვითმპყრობელობა აწი წარსულს ეკუთვნის, რეაქცია ისტორიის ჩარხს უკუღმა ვერ დაატრიალებს; მომავალი კი ჩვენია, ისტორია კი ჩვენსკენ არის, მხოლოდ ჩვენსკენ! მაშ, შორს უიმედობა და შიში, უკანასკნელი სიმხნევე, უკანასკნელი სიმტკიცე, უკანასკნელი იერიში და გამარჯვება ჩვენია.

ახალი ამბები.

*** გუშინ უკვე მოიტანეს სამტრედიიდან 2500 ფ. ნავთი, რომელიც იყიდება ქალაქის ნავთის საწყობებში 3 კაპ. გირვანქა

*** გაბრიელის საქალო ეპარქიალური სასწავლებელი უკვე დაიკეტა. ამ თვის 20-ში იქაურ მასწავლებლებს უკანასკნელათ მიცეს ჯამაგირები და უთხრეს ადგილები ეძიეთო. დღევანდელ გაჭირვებულმა მდგომარეობამ, აქაურ მასწავლებლებსაც კარგი საჩუქარი არგუნა ამ დღესასწაულებზე.

სასულიერო სასწავლებელსაც სულ ცოტა და სიტუა აქვს 5-6000 მან. და გამოეღევა თუ არა ეს ფულები, იმანაც უნდა დახშოს კარნი თვისნი.

*** ქალაქში კახაკებისაგან გაირცხლებულ მუქარის გამო ეს ორი დღეა ძალად შიშინაობა ჩამოვარდა. იოტათ თუ ბევრათ შეძლებულნი ოჯახები, ქუთაისიდან იხიზნებიათ. ამ შიშინაობის ათასნაირი ხმები დიდის, მაგრამ რომელი ერთი გამართლებდა დაბეჯითებით ვერას ვიტყვით. სოფლებიდანაც მოსულები გულის ფანჯრით ეკითხებიან მოქალაქეებს: რას მოელოთ, როგორაა საქმეო ყველანი დიდი რაღაც ამბების მოლოდინშია. ფა კა ფუცა და მხადებაა: ვინ ეზოს რაგავს ქუჩურებს ამბავებს, ვინ სახლის კარებს დახარბებს, მთაისი იმ ქაჩისპირა ოთახებს კლის და უკანა ოთახებში ან სარდაფებში იკრუნჩხება და ასე ამ რიგათ ყველანი, არა ქუჩი ხალხნი საიმედო თავ-

შესაფარებს იმხადებენ. კიდევ კარგი რომ მხადება და ხამათ არ შეხედებიან კარზე მომდგარ განსაცდელს.

— ბალახვანის ქუჩის მცხოვრებით დაუარსებიათ „საურთიერთო დამხმარებელი კასა“, რომლის „მიზანია დახმაროს ყოველ მის წევრს გაჭირვების დროს“ მშვიერ-წყურვალს, ან გაჭირვება-ავათმყოფობის, ან სხვა რაიმე ხოფათებისგან დაზარალებულთ. საზოგადოების წევრათ მიიღებიან, ვინც ერთდროულათ გადიდის არა ნაკლებ 50 კ. ან თვიურათ 30 კ. საზოგადოების გამგეობა შესდგება 5 ამორჩეული კაცისაგან, რომელნიც აგროვებენ ამ ფულებს, ანაწილებენ მას და უდგენენ საზოგადო თვიურ კრებებს ყოველგარანგარიშებს.

— ოზურგეთის ახლად არჩეულმა ხმონებმა წინადადება მისცეს ექიმ პ. ქიქინაძეს ქალაქის თავათ აგირჩევთო, მაგრამ მან უარი უთხრა მათ წარმომადგენელს.

— როგორც გავივით, სადგურ ქსანკის მახლობლათ გადავარდნილა სამხედრო მატარებელი, რომელშიაც ისხდნენ სათადარიგო ჯარის კაცები და კახაკები, არიან დაჭრილნი. სათადარიგო ჯარის კაცები მიხაილოვში მისულან. კახაკები კი ცხინვალისკენ გაეშურენ, სადაც წითელი რაზმი სდგას.

— რამდენიმე დღის წინათ ბორჯომში კახაკები უეცრივ თავს დასხმიათ წითელ რაზმელებს და ოციოდე კაცისათვის იარაღი აურთმევიათ

— თფილისში შეტაკება ხდება ხალხსა და ხულიგანებს შორის;

გოროდოვებთან ერთათ მოუკლავთ ბევრი ხულიგანები

— წითელ რაზმში მისი კარგად აღსანიშნავი მიმავალი მატარებელი.

*** ქუთაისში ხმა გავრცელდა, ვითომც ყვირალაში წითელ რაზმელებს ალყა შემოვრტყათ ერთი ორტა სალდათებისათვის და იარაღის აყრა მოეთხოვოთ. საჩუმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია.

*** 21 დეკემბერს, არქიელის გორაზე, ვილაც ვაჟბატონებს ხმა გაუვრცელებია: „ამხანაგებო, თავს ვუშველოთ, რევოლუციას იწყებენ პარტიებიო“. ეს ხმა ელვის სისწრაფით მოედვა მთელ გორის მცხოვრებლებს და აგრეთვე რუიესპირსაც, შეიქნა ოჯახებში ერთი ფაცა-ფუცი, არვე-დარევა. დაიწყეს ბარგი-ბარხანის მოკონვა და ვინ მთაში, ვინ ბარში, ვინ სოფლად გასახიზნავათ ეშურებოდნენ მოხუცი და წვრილშვილებიანი დედაკაცები. ამ დროს ისევ გავრცელდა რომ ეს ხმა სიცრუეაო და მცხოვრებნი როგორც იყო დაშოშმინდნენ.

*** 21 დეკემბერს, რუიესპირის, ქომის და ჯიმასტაროს კომისიამ უკვე დაიქირავა სახალხო სახლი თვეში 12 მან. ერთდროულათ სახლის მოწყობა, როგორც გამოიანგარიშეს, დაჯდა 60 მან.



სტურია, მოსპეთ კაპიტალისტური წარმოება, მიეციო ყველას რიგინი აღზრდა და კაცთა შორის სრული ჰარმონია და ბედნიერება დამყარდება, კაპიტალისტური წარმოება მოისპობა მხოლოდ მაშინ, თუ მოისპო კონკურენცია და მოგება თუ მუშებს გაუნაწილდა, ამისათვის საჭიროა, რომ ნაცვლათ დღევანდელი წყობილებისა საზოგადოება დაიყოს მაწარმოებელ ასსოციაციებათ და მოგება ასსოციაციების წევრთა შორის განაწილდეს. აი ის სოციალისტური წყობილება, რომელსაც ქადაგებს ოუენი. რა საშვალებით უნდა განხორციელდეს ამგვარი წყობილება? შეგნებითა და ცოდნის გავრცელებით. ორივე ამ საშუალებას ოუენის აზრით ის შედეგი მოყვება, რომ საზოგადოება დარწმუნდება ახალი წყობილების უპირატესობაში, თითონ, თავისი ნებით, თავის წევრთა საერთო შეთანხმებით უარყოფს არსებულ წყობილებას და ამგვარათ განხორციელდება სოციალიზმი. ოუენის ფიქრში ერთხელაც არ გაუვლია იმ აზრს, რომ შეიძლება ვერავითარმა ქადაგებამ და ცოდნამ ვერ დაარწმუნოს საზოგადოება სოციალიზმის

უპირატესობაში; შეიძლება ბევრი კდეც მივიდეს ამ დასკვნამდე, რომ სოციალიზმი საუცხოვო წყობილებაა, მაგრამ მაინც ვერ განახორციელონ. როგორც სხვა უტოპისტ-სოციალისტები, ისე ოუენიც ვერ ხატავდა კლასობრივ ანტაგონიზმსა და კლასობრივ ბრძოლას; კლასობრივი ბრძოლის საჭიროება იმისი შეგნების გარეშე რჩებოდა. როგორც შვილი მეთვრამეტე საუკუნისა ის გამ. ქვალული იყო ამ საუკუნის ბურჟუაზული ლიბერალიზმით. ბურჟუაზული ლიბერალიზმი აცხადებდა, ადამიანთა შორის არავითარი ანტაგონიზმი არ არსებობს, არამედ ინტერესთა და მისწრაფებათა სრული ჰარმონია სუფევსო. ამგვარი შეხედულების გავრცელება მასსაში ფრიდა ხელსაყრელი იყო ბურჟუაზიისათვის, რომელიც ამით ცდილობდა პროლეტარიატის დაბრმავებას და მის ყვლეფას თავისუფლათ. და მართლაც თუ კი ადამიანთა და კლასთა შორის ინტერესთა სრული ჰარმონია-თანხმობა არსებობს, მაშინ ბრძოლა კლასობრივი არც საჭიროა, არც სასურველი. თუ საზოგადოებრივი ცხოვრება ხედასხვა ნა-

კულუფევანებას შეიკავს, უნდა დანახო ეს საზოგადოებას და ისიც მოიშორებს ყველა ამგვარ ნაკულუფევანებას და ამგვარათ ცხოვრება ახალ სახეს მიიღებს. აი სწორეთ ასე მსჯელობდნენ სენ სიმონი, ფურეი და ოუენი. მართალია არსებულ წყობილებას ყველა ერთხმათ უარყოფდნენ, მართალია კაპიტალიზმში ისინი ხედავდნენ პროლეტარიატის მტერს და ითხოვდნენ წარმოების და განაწილების ახალ სოციალისტურ ორგანიზაციას, მაგრამ მათი უდიდესი შეცდომა იმაში მდგომარეობდა რომ მათ სრულებით ვერ დაინახეს საზოგადოებაში კლასობრივი ანტაგონიზმი და კლასობრივი ბრძოლა და ამიტომ ვერც მიხვდნენ, რომ სოციალიზმის დამყარება მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია ბრძოლით. ისინი ერთხმათ უარყოფდნენ კლასობრივ ანტაგონიზმს და ბრძოლას და დარწმუნებული იყვნენ, რომ სოციალიზმს თვითონ ბურჟუაზია დამყარებდა, რაკი დაინახავდა იმის საჭიროებას. ამგვარათ რამდენათაც ისინი პროლეტარიატისა და მშრომელი ხალხის ინტერესებს თანაუგრძნობენ, იმდენათ ისინი სოცია-

ლისტები იყვენ, ხოლო რამდენათაც ისინი პირშიშო შვილი იყვენ პურჟუაზული ლიბერალიზმისა, იმდენათ ისინი უარყოფდნენ ერთათ ერთ რეალურ ვხას სოციალიზმის განხორციელებისას—პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლას. თავისი სოციალიზმით ისინი ჰაერში ჩამოკიდებული დარჩენ და ამიტომ უწოდებენ მათ უტოპისტებს. უტოპისტი სოციალისტები თავისი მაგალითით საუცხოვოთ გვიმტკიცებენ, რომ ლიბერალიზმი და სოციალიზმი ერთი მეორის მოსისხლე მტერია; ვინც ლიბერალიზმს ჩასქიდებია, მას ადგილი არა აქვს სოციალისტთა ბანაკში, ხოლო ვისაც დროშაზე სოციალიზმი უწერია, მან უნდა დაგმოს და უარყოს ლიბერალიზმი. როდესაც ბურჟუაზია ფეოდალურ წყობილებას ანგრევდა პროლეტარიატის მუშით და მკერდით, მაშინ ლიბერალიზმი პროგრესიული მოძღვრება იყო; ხოლო დღეს შეგნებული პროლეტარიატი სოციალიზმისაკენ მისწრაფის, ლიბერალიზმი რეგრესის, რეაქციის ბანაკში რჩება და ამიტომ ვინც იძახის: გაუმარჯოს სოციალიზმსო, მან უსათუოთ უნდა დასძინოს აგრეთვე: ძირს ლიბერალიზმიო.

აგ. გამაბრთვლა.
(შემდეგი იქნება).

დეკემბერი.

ბათუმი. საალყო წესები მოხსნი-

ლანჩხუთა. 22 დეკემბერს მოხდა სახალხო მიტინგი, რომელსაც დაესწრო რამდენიმე ათასი კაცი. კრებამ მსჯელობა იქონია თფილისის დღევანდელ მდგომარეობაზე და დადგინა შემდეგი: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ სამხედრო წესები ამოუცხადებიათ თფილისში და თფილისის მაზრაში სულთ-მოძრავ რევოლუციას უნდა წაიღოს 17 ოქტომბრის მანიფესტი, მოპოვებული ოქტომბრის რევოლუციით, და ამნაირათ სავსებით აღადგინოს თფილისში მხედველობა, 2) რომ რევოლუციის სასტიკი ზომები არის მიმართული თფილისის პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელიც რევოლუციის ავანგარდის კეკასიაში.

სახალხო მიტინგი მოითხოვს: ა) აუკონებლივ მოხსნილი იქნას თფილისში სამხედრო წესები, ბ) დახლოვნილი იქნას საჩქაროთ რევოლუციის მეთაურები: შირინკინი, რილსკი, მარტინოვი და გრიბუნოვი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მზათა ვართ, იარაღით ხელში გვედღში ამოუდგეთ თფილისის პროლეტარიატს და სისხლით დავიცვათ სისხლით მორწყული თავისუფლება. ამასთანავე მიტინგი უერთდება თფილისის მუშების მოთხოვნებს:

რევოლუციის იარაღის აყრა როგორც თავისუფლების გარანტია, დაშლა ჯარების მთელ რუსეთში და გაგზავნა მათი თავიანთ სახლებში. დათხოვნა სამსახურიდან ძველი რევიმის მომხრე მოხელეების; სალდათების განთავისუფლება პოლიციურ ვალდებულებისაგან; სახალხო შეიარაღება; მთელ რუსეთში მოხსნა საალყო და სამხედრო წესების; სრული პოლიტიკური ამნისტია; მთელი წლის სამსახური სალდათებისათვის; ღამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორი და ფარული ტენქისურით.

ლანჩხუთის ორგანიზაცია რ. ს. ღ. მ. პ.



ხონის რაიონი.

ხალხის მოლაპატრები, იუდა-ისკარითტელნი, ჯაშუშები, ჯალათები, გამცემლები ყველგან არიან, და რასაკვირველია, რომ ასეთები ხონის რაიონშიც გამოჩენილიყვნენ! საკმარისი იყო ხონის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ ჯაშუშთათვის, პროვოკატორთათვის გაგონება, რომ ბნელი ძალა, რევოლუცია ირაზმება და

რევოლუციასზედ იერიში მოაქვს, რომ მსწრაფათ ამოეყოთ თავი თავიანთ ბნელ სიბრძნეში, და ვითომდა სამშობლოს დამცველებს ნამდვილ კი სამშობლოს მოლაპატრებს, მოერიდოთ გულშემზარივი წუწუნი, და გულუბრყვილო კიყინა: „სამშობლო განსაცდელშია, სამშობლო იღუპება, ხალხო გაჩერდით, ნუ მოძრაობთ დაეშორჩილეთ გაიძვერა ვიტტეს მთავრობასო!“ მაგრამ ამაოთ, მათი კიყინას არავინ აქცევს ყურადღებას, მათ წუწუნს გასავალი არა აქვს, მათ შეთხზულ ზღაპრებს, როგორც არის მაგალითათ: „ვითომ ხალხი რუსეთში მეფეს ურიგდებოდეს, ვითომ მოწინავე და ბრძოლაში გაწვრთნილ გასალკლდევებულ გურულებს ბინძურ მთავრობისათვის ხელი გაეწოდებოდა“, არვინ აქცევს ყურადღებას, მსგავსი სიტყვები, მსგავსი ლათაიები ოდნავაც ხალხის მებრძოლ სულის კვეთებას ვერა სპობს, პირიქით აძლიერებს, ანვითარებს და ვაუკაცურათ მიაქანებს წინ მომავალ გამარჯვებისკენ! აღნიშნულ სიტყვების მოლაპარაკეთ, ხალხის მოლაპატრეს, ხონის რაიონში ხალხი გაუაციცებით დაეძებს, და ვაი მათი ბრალი ვინც ზევითაღნიშნულ მოქმედებაში დაიჭირება! — ხონის რაიონის ყველა სამამასხლისოებში ამ ერთ კვირის მიმდინარეობაში რევოლუციის და რევოლუციის დასახსნიათებლათ დიდი მიტინგები გაიმართა საერთოთ ყველ მიტინგებზედ შემდეგი რეზოლიუცია გამოვიტანეთ:

- 1) თავისუფლების გარანტია, და ამ მიზნით რევოლუციისათვის იარაღის აყრა 2) მთელ რუსეთში კახაკთა ჯარების დაშლა, და მათი სამშობლოში გასტუმრება 3) ძველი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სამსახურიდან გადაყენება. 4) სალდათების პოლიციურ ვალდებულებათაგან გათავისუფლება 5) ხალხის შეიარაღება 6) სამხედრო და ალყის წესების მოხსნა მთელ რუსეთში 7) სრული პოლიტიკური ამნისტია სხვათა შორის უკანასკნელ დროს დატუსაღებულთა ვისაც 8. საყოველთაო თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო საარჩევნო უფლება. 9 დამფუძნებელი კრების სიჩქარით მოწყობა.

კანტა

ბიონ-გადმა კუთხე. (ქუთ. მაზ.). ამას წინათ სოფ. ამაღლებაში გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრნ გორას, უხუთის და დვალის მხედრების საზოგადოების მცხოვრებნი. სოც.დემოკრატიამ ორატორმა გააცნო ხალხს მთავრობის მიერ მოცემული კულ-მოგლეჯილი კონსტიტუცია და დაუსაბუთა, რომ საჭიროა შეიარაღება და ბრძოლის გაგრძელება სრულ თავისუფლების მოპოვებამდე;

შემდეგ ილაპარაკა გზების, ძველ საქმეების გარჩევის და ამაღლების სამრევლო მეორე-კლასიანი სკოლის შესახებ; გამოუცხადა ხალხს, რომ მედიატორები ნუ შეეხებიან ძველ საქმეებს, რომლებიც უკვე გადაწყვეტილი და დამთავრებულია ათიხუთი წლის წინათ, არამედ მიაქციონ ყურადღება ახალ საქმეებს; შემდეგ გამოაქვეყნა ამაღლების მეორე კლასიანი სამრევლო სკოლის გამგეს მოქმედება, რომელსაც უთქვამს ხალხისთვის, რომ ამაღლების სკოლა სხვა ტიპის სკოლაა, ექვემდებარება უწმინდეს სინოდს, ინახავს სასულიერო მთავრობა და არავითარი კავშირი არა აქვს სხვა სახალხო სკოლებთან, ამის გამო ახალი პროგრამის შეტანა და სამღვთო სჯულის გამოდგენა ამ სკოლიდან შეუძლებელია, რადგან სინოდი მაშინვე დახურავს ამ სკოლას და ხალხი მთლათ დაიღუპება“.

იქვე აფთიაქის წინ იჯდა გამგე ამა სკოლისა მამა ზაქარია ქედლიძე, რომელიც ძლიერ გაცხარდა ამ სიტყვების გამო, ითხოვა თავის გასამართლებლათ სიტყვის ნება. მისცეს ნება; ავიდა ტრიბუნაზედ და აღიარა რომ მისთვის ავ ენებს ცილი შეუწამებიათ და ორატორსაც ასე უსაბუთოთ მიუღია მისი პირადი-მონაგარიშეების სიტყვები.

ბოლოს წამოსცდა მაინც ისევ და სთქვა: „ღიახ, ეს სკოლა უწმინდეს სინოდს ეკუთვნის, რადგან მისი დაარსებულია და უსათუოთ სათავეში უნდა უდგეს მღვდელი, ისე შეუძლებელია მისი არსებობა“. მეტი აღარ აცალა ხალხმა და ერთხმათ მიაყვირა ყველამ „არ გვინდა მღვდელი, ძირს, ძირსო“ და ძალათ ჩაშოადეს ტრიბუნიდან. ხალხი შემდეგ აზრს დაადგა: თავ-თავიანთ სოფელში დაიარსონ საფრო სკოლები, მასწავლებლები თითონ აირჩიონ, სწავლა გაგრძელდეს ახალი პროგრამით.


ვანის, ტობანიერის და მუხაყურის სახალხო სკოლებში სწავლა დაიწყო 15 ნოემბრიდან ახლის პროგრამით. ს. ტობანიერში რვა წელიწადია რაც არსებობს ორკლასიანი საერო სასწავლებელი ოთხი მასწავლებლით, რომელთაც ინახავს ხალხი თავის ხარჯით.

27 — 28 ნოემბერს ქუთაისში მომხდარ შეტაკებამ დიდი ფაცი-ფუცი გამოიწვია ჩვენ კუთხეშიც. ყოველ სოფელში შესდგა რაზმი და გამოეშურა ქუთაისისაკენ.

იარაღის წართმევა ჩვენს კუთხეშიაც იყო, მაგრამ ორატორებმა გამოუცხადა ხალხს, რომ ს.-დ. მ. პარტია იშის ნებას არავის არ აძლევს, რომ მცხოვრებთ თავს დაეცენ და იარაღი ჩამოართვან.

ლადო ბზვანალი.


მუხურელი გლეხები



ამ თვრამეტი წლის წინათ სოფელ მუხურის (შორაპნის მაზრა) გლეხები მოურიგდენ თავის მებატონეს ზუბალაშვილს და დაიხსნეს მისგან თავი. ზუბალიშვილის ყმების რიცხვი რამოდენიმე ასს უდრიდა. მთელი მუხურის საზოგადოების ადგილ-მამული მის საბატონოს შეადგენდა. აი ამ გლეხებს გადაუწყვეტია გამოეხსნა თავის ადგილ-მამული ბატონისაგან და შედგომიან ბატონთან პორიგებას. პორიგება გათავებულა და წინდაწინვე მიუციათ ზუბალაშვილისათვის 200 მანეთი თითო კომლს, ხოლო დანარჩენი უნდა მიეცათ, როდესაც საბუთები დამტკიცდებოდა ნოტარიუსის წესით. საბუთების შედგენას დამტკიცებას შესდგომიან, მაგრამ ბატონი ზუბალაშვილი თელათ ვერ შელევია თავის საბატონოს და მოუთხოვია, რომ საბუთებში აღნიშნულიყო, რომ თუ ვინცობაა ამ საბატონოში რაიმე მადანი აღმოჩნდებოდა ნახევარი მისი, ზუბალაშვილის უნდა ყოფილიყო. ამასვე არც გლეხები დათანხმებულან და არც ნოტარიუსს უცვნია შესაძლებლათ ასეთი მუხლის შეტანა საბუთებში. ამასვე ატეხილა დავა, რომელსაც დღესაც არ გათავებულა.

დავის ატეხის გამო გლეხებს ზუბალაშვილის მისაცემი დანარჩენი ფული ოცდაჩვიდმეტი ათას მანეთამდე შეუტანიათ ქუთაისის საურთიერთო ბანკში შესანახათ და ზუბალაშვილის გადასაცემათ, თუ ეს უკანასკნელი დასთანხმდებოდა საბუთებზე ხელის მოწერას.

ეს ამბავი მოხდა 1887 წელს. მას შემდეგ ეს 37000 მანეთი ყოფილა ქუთაისის საურთიერთო ბანკში სრულიათ უსარგებლოთ. დღეს მუხურლები მიადგენ ბანკს და მოთხოვენ ფულის უკან დაბრუნება. ბანკი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. თვრამეტი წელიწადი უტრიალებიათ ამოდენა ფული უსარგებლოთ და დღეს თავის თავსაც ვეღარ უბრუნებენ ბატონებს. რამდენი დივიდენდი ექნება მიღებული ბანკის დირექტორებს და ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს“ ამ გლეხების ფულის სარგებლიდან?! ახლა რა ქნას ბანკმა: კასაში ფული არ არის და გლეხები კარზე მიადგა. როგორც იქნა მოახერხეს და გლეხებს მიცეს ცოტ-ცოტა ფული, თითოს ათი პროცენტი იმისი, რაც ერგებოდა და დანარჩენი კი თითოეულის სახელზე ცალკე კვიტანციით ისევ ბანკზე დარჩა ერთი წლის ვადით. გლეხების შემოსევამ ბანკირებს ფერი უცვალათ, მაგრამ ისევ მალე დაშოშმინდენ პორიგების შემდეგ.



ბ-ნი რედაქტორა!

გთხოვთ თქვენს ორგანოში ადგილი დაუთმოთ ჩვენს, ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეთა დელეგატების შენიშვნას.

თქვენ გაზეთში წერილი იყო დეკანდელაქის მასწავლებლათ არჩევის გამო. როგორ კიჟინობს ბ-ნი ავტორი, ნუ თუ მასწავლებლის მიმართულებას ყურადღებას არ აქცევთ?! ვუპასუხებთ მოკლედ, ჩვენ, მოწაფეებს არაოდეს მაინცა და მაინცა არ გვეინტერესებოდა მასწავლებლების მიმართულება, იმისთვის რომ ჩვენ არასოდეს არ გყოფილვართ მასწავლებლების იდეურ ხელმძღვანელობის ქვეშ, და ახლაც თუნდ მონარხისტებით აავსონ გიმნაზია, თუნდ ანარხისტებით ჩვენ მოწაფეებს ტრადიციის ძალით მაინც არ გვექნება მასწავლებლებთან საერთო იდეური ცხოვრება. როგორ ვერ შენიშნა ეს პსიხოლოგიური ფაქტი ბ-ნი ავტორმა. თვით ის მასწავლებლები, რომლებიც დღეს სხვა და სხვა ლიბერალურ ლოზუნგების მომხრეებათ გამოდიან გუშინ წინ „ერთგული ქვეშევრდომნი“ არ იყვნენ, რომელთა სამი მეოთხედი ჯაშუშები იყვნენ და ობსკურანტიზმის ემბლემათ ევლინებოდნენ ჩვენს ფაქიზ მოსაზრებას. ჩვენ, დელეგატები კატეგორიულათ აღვიარებთ, რომ გამყიდველ სულელებათ მიგვაჩნია დღესაც ისინი, ვინც 17 ოქტომბრის მანიფესტის ბუშებათ მოველინენ ქვეყანას. დეკანდელაქი შესახებ კი ჩვენი მოსაზრება მოკლედ ამგვარია. თუ ბ-ნი ავტორი ავტორობის პრინციპის მომხრეა (რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში), ჩვენ სამართლიანობის მომხრე ვართ და ნურას უკაცრავათ თუ იქ, სადაც ძალა ჩვენს ხელშია, უსამართლობას ადგილს ვერ მივცემთ. სამართლიანობა კი ჩვენის აზრით მდგრადარეობს შემდეგში: რადგან დეკანდელაქს ადგილი მიეცა თითქმის სამი თვით ადრე, სანამ რეტროგრადები პროგრესისტობის მეტამორფოზას განიცადიდნენ, დეკანდელაქი უნდა სარგებლობდეს ყოველი იმ უფლებით, რომელიც აქვს ერთ-ერთს წევრს პედაგოგიურ საბჭოისას. თუ კი მომავალში პედაგოგიური საბჭო კიდევ აპირებს კანის გამოცვლას, დავძინთ, რომ იმ პროცესშიდაც თანასწორი უფლებით სხვა წევრებთან შევიდეს დეკანდელაქი. არ მოკლეთ ჩვენი მოსაზრება, რომელზედაც ვგონებთ არაერთი ახალგაზდური გულკეთილობის ბეჭედი არ აზის.

ქუთაისის გაზეთის გამნაზიას დელეგატები.

რედაქციის შენიშვნა. ვებუდვთ გიმნაზიელ დელეგატების წერილს, ხოლო აქ ორმა გარემოებამ საშინლად გაგვაკვირა: 1) დელეგატები წერენ: მასწავლებლებთან

იდეური კავშირი არ გვექნიათ, ტრადიციის ძალით არც აწი გვექნება და ამიტომ რა მიმართულებისაც უნდა იყოს მასწავლებელი ჩვენთვის სულ ერთია. როგორ? ნუ თუ სულ ერთია მასწავლებლათვის მათი მასწავლებელი ჯაშუშები იქნება, მონარქისტი, ზნე გაზრწნილი, პატიოსანი და სხვა? დელეგატების აზრით გამოდის, რომ კარგი მიმართულებას და მანვე მიმართულების მასწავლებელს ორივეს ერთნაირი მნიშვნელობა და ერთნაირი ფსიქონიათ მოსწავლეთათვის, ჩვენ კი სხვან ირათ ვფიქრობთ. მოსწავლეებმა მასწავლებლის მიმართულებას ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. რა მიმართულების უნდა იყოს. მოვიდეს, ჩვენთვის სულ ერთია, ანობენ დელეგატები. არა და არა. რევოლიუციის ქარცეცხლში მტკიცებმა ახალგაზდობამ ამგვარი შემცდარი აზრი უნდა განდევნოს თავისი წრიდან, როცა მას მასწავლებელს აწვდინ, უმალ ის უნდა იკითხოს: რა მიმართულების არის. როგორი მოქალაქეა. ჯერ დიოსეული მოქალაქე, შემდეგ პროფესია! და მოსწავლე ახალგაზდობამაც თავის გავლენა სხვათა შორის, იმაში უნდა გამოიყენოს, რომ საუკეთესო პედაგოგიც კი არ შეუშვას მასწავლებლის კირებში, თუ კი ის არა თუ უღირსი და უპატიოსნო, საეჭვო მოქალაქე იქნება. 2) გაუგებარია, რომ საღმრთო სჯულის მასწავლებლისათვის დელეგატებმა ასე გამოიღვეს თავი. რასაკვირველია სამართლიანობის დაცვა ყველასათვის სავალდებულოა და მაშასადამე დელეგატებისთვის ც; ხოლო ეს დაცვა საერთო პრინციპს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. შესაძლებელია დეკანდელაქი ფრიად ღირსეული კაცი იყოს, საქმე ამაში კი არ არის, არამედ აი რაში: საღმრთო სჯული. როგორც ყოველათ უსარგებლთ საგანი სრულებით გამოდევნილი უნდა იყოს სასწავლებლიდან და დელეგატები ყოველ საქმეში, რომელიც კი ამ საგანს ასე თუ ისე შეეხებოდა ეს მოთხოვნილება უნდა დევნათ კატეგორიულათ საღმრთო სჯულის გაძევება, — აი რას თხოულობენ სხვათა შორის მოსწავლენი; თუ თავისას ვერ გაიტანენ მოწაფეები, მათ სრული ბოიკოტი უნდა გამოუტყდონ როგორც ამ საგანს, ისე მის მასწავლებელს, მოწაფეთა დელეგატები კი თავგამოდებით იცავენ საღმრთო სჯულის მასწავლებელს!...

ბ. რედაქტორა!

უმორჩილესათ გთხოვთ დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი ამ ჩემს ღია წერილს:

თუმცა მე არ მქონდა მიზნათ დღემდის პასუხი გამეცა იოსებ ჯინორიძისათვის (დროებით ექიმი) იმ შეურაცყოფისთვის, რომელიც მან მე მომაცენა ეკენისთვის უკანასკნელ რიცხვებში, რადგან ეს არა ნორმალური მოქცევა მისი ჩემთან და მასთან ერთდროული მეგობა პირველი იყო, მაგრამ დღეს კი ვინაიდან იძულებული ვარ ექ. ჯინორიძე ჩემ შეურაცყოფას განაგრძობს და მე კი მას ჯერ ჯერობით ვერ მოვშორებმარ სამსახურის გამო, გამოვიწვიო ბ. ჯინორიძე სამედიკატორო სასამართლოში და პასუხი მოვუხივო, როგორც პირადი ჩემი შეურაცყოფისთვის ეკენისთვის, ისეთ სხვა მოქმედებისათვის ჩემზედ მიმართულს, როგორც მისგან დამოკიდებულ მოსამსახურეს

უფროსი ფერმალი ლაილაშის საკათმყოფოსი იაკინთე მასხარაშვილი.

შეწირულება.

გთხოვ ქუთაისის ს.-დემ. კრატთა ორგანიზაციას — გამოგზავნოს სანიტართა გამგე და მიიღოს ჩემგან შეწირულება 5 ხის კრაოტი თავის მატრასებით, ბალიშებით და ზედ დაჭრილთა სახელი და გვარის წასაწერ დაფით. ესენი მზათ იქნება 24 დეკემბერს ადანაიას სახლის პირდაპირ.

მოქალაქე ი. ხელაია.

გაზაქებისაგან დაზარალებულ გურულების სასარგებლოთ შეკრებილი ფულები.

II.

დაზარალებული გურულების სასარგებლოთ კიდე მივიღე ფულები შემდეგი პირებისაგან:

- 15. იოსებ პატარიძისაგან — სოფ. ოდილოურში შეგროვილი 6—20
- 16. გერასიმე ხაყოშიასაგან, ქუთაისის საეპოგემნაზიის მასწავლებლთა შორის შეკრებილი 10—75
- 17. დ. კიკიანისაგან — სააქციზო სამართველოს მოხელეთა შორის შეკრებილი 22—80
- 18. ქ-ნ მართა და კატო შარაბიძისაგან — არქიელის გორაზე შეკრებილი 15—25
- 19. ქ-ნ ლუბა ცახელის და ანეტა ოქროპირიძისაგან — შეკრებილი 41—
- 20. მუშა იოველ პატარიძისაგან — ფირალოვის თუთუნის ფაბრიკაში შეგროვილი 12—50
- 21. პ. კილასონისაგან კაცია ადანაიას არაყის საწყობის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი 3—80
- 22. ქუთაისის რკინის გზის ტელეგრაფის მოსამსახურეებისაგან 6—70
- 23. დეკანდელი ცაგარეიშვილისაგან — საკათედრო სობოროს მსახურთა შორის შეგროვილი 29—55
- 24. მიხაკო კეზავაძისაგან — საეპოგემნაზიაში შეგროვილი 12—80
- 25. ვ. ბურჯანაძისაგან — სიით № 8 — გიშკარდ ანთაძისაგან შეკრებილი 21—80
- 26. სტუდენტ გ. უზუთელისაგან — მის მიერ ქუთაისში წაკითხულ რეფერატის შემოსავლიდან 1/4 18—

- 27. გ. დგებუაძის და ს. ქეზავაძისაგან 28—30
 - 28. ყაისარ შოროდანიას და დათიკო მაჭავარიანისაგან — ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა შორის 97—
 - 29. მათგანვე — ქუთაისის მოქალაქეთა შორის შეკრებილი 80—20
- სულ 406—70

„სოც.-დემ. ფურცლის“ № 5 შემომწირველთა სიაში № 12 მე-4 ციფრის ქვეშ ი. გოგოლაშვილის რ. ვ. ბურჯანაძისაგან ნაჩვენებია შეცდომით 28--30, ნამდვილათ კი ამ სიით შემოიტანეს 23—20. მაშასადამე წინანდელ საერთო ჯამს 610—87 მოაკლდება 5—10 და ახლანდლიანათ შესდგა 1012—47 დღემდის შემოსული ზემორე აღწერილი ფულები სხვა და სხვა დროს სრულიათ გაეგზავნა ოზურგეთში ამ შემოწირულებათა გამწაწილებელ ბიუროს, რომელიც, უეჭველოდ მის მიღებას დაგვიმოწმებს რა საშუალებითაც იგი საჭიროთ დაინახავს ისადაც კვიცნადიქ.

რედაქტორ - გამომცემელი გ. ლორთქიფანიძე.

განცხადება.

უზრნალ-გაზეთების ხელის-მოაწერთა საუზრალდემოკრატიული-გაზეთების კანტორა

„პოლხიდა“ - რომელიც დაარსებულია იმ მიზნით, რომ გაუადვილოს მკითხველებს უზრნალ-გაზეთების გამოწერა მთელ გურჯისტანში, ვიდრე ხელის მოწერას როგორც თფილისის, ისე სატახტო ქალაქების გამოცემებზე. ხელის მოწერნი რედაქციებში ფულის გასაგზავნს აღარ იხდიან. კანტორა აწარმოებს აგრეთვე გაზეთების გაყიდვის საქმეს, როგორც კანტორაში, ისე გამყიდველების საშუალებით ქუჩებში ყველანაირი გაზეთები იყიდება იმ ფურცლებში, რაც ზედ არის აღნიშნული. ისიღორე კვიცნადიქ